

სანდრო მარკოზაშვილი

ელ.ფოსტა: [markoza@live.com](mailto:markoza@live.com)

## ანოტაცია

მსოფლიოში განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებამ, რაც თანამედროვე ცივილური საზოგადოების შემფოთებას იწვევს. ატმოსფერული ჰაერის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ტრანსპორტის, ენერგეტიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სექტორები. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაღალი ხარისხით დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერი მოსახლეობის ავადობის, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის პოტენციური რისკ-ფაქტორი გახდა.

ცივილიზებული სამყაროს კანონშემოქმედთა ძირითადი საქმიანობა მიმართულია გარემოს დაბინძურების შეზღუდვაზე, მუშავდება ნორმატიული აქტები- გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა (ნახშირბადის ოქსიდი, აზოტის ოქსიდები და დაუწველი ნახშირწყალბადები) ზღვრის დადგენის მიზნით; ხორციელდება გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების შესამცირებლად სპეციალური ღონისძიებების გატარება, როგორც საკანონმდებლო, ტექნიკურ-ორგანიზაციულ, სამეცნიერო-კვლევით, ისე სპეციალისტთა მომზადების მიმართულებით.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ნაწილობრივ ეფუძნება ჩვენ მიერ ჩატარებულ სავსე კვლევას, ასევე სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას. იგი მეტად აქტუალურ პრობლემურ საკითხს შეეხება და მას ეძღვნება ნაშრომის 4 ძირითადი თავი, სადაც განხილულია საქართველოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ბუნებათსარგებლობა და მისი მახასიათებელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პარამეტრები; გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას გამოყენებული მეთოდები და მიდგომები; ხევი-ჩუმათელეთის ავტომაგისტრალის მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპებთან დაკავშირებული გარემოს ფონური ტრანსფორმაცია და ზემოქმედების ხარისხისა და მასშტაბების შეფასება; ხევი-ჩუმათელეთის დერეფნის გარემოსდაცვითი მონიტორინგი და პროექტის ალტერნატიული ვარიანტები; სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს მოცემულია ავტომაგისტრალის მშენებლობასა და ექსპლოატაციის ეტაპებთან დაკავშირებული ღონისძიებები და რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და ინტერნეტ საიტები.